ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი 13 თებერვალი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: ნინო გუგნცაძე, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ნაჭყებია, გია აბულაძე, დავით გოგიბაიშვილი.

მოწვეულები: რ. ტყემალაძე, ლ. კალმახელიძე, ლ. სანიკიძე, ა. მარშანია, თ. სიხარულიძე, დ. მახარაშვილი, დ. იავრიანი, ნ. სიხარულიძე, ს. აბჟანდაძე, მ. მჭრელია, ა. ცხოვრებაშვილი, ლ. ხუხაშვილი, გ. ინასარიძე, ნ. მსხვილიძე, რ. ცქიტიშვილი, გ. ქისტაშვილი, ვ. აბაშიძე, მ. აბაიშვილი, გ. ზამრაშვილი, ლ. ქაფიანიძე, თ. ნუბინიძე, ა. სურგულაძე, ნ. ბერაშვილი, მ. ცხელიშვილი, გ. ჭაჭანიძე, გ. სულაბერიძე, ს. ჭელიძე, ნ. რაზმაძე, დ. აბრახამია, ა. მაღრაძე, ს. გაბუნია, ზ. ნემსაძე, ლ. მიხაილიდი, კ. გიორგაძე, ნ. გიორგაძე, ტ. სამუშია, გ. კახიაშვილი, მ. კაპანაძე, კ. ხმელიძე, ლ. აბდალაძე, კ. შარვაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.14.005.139, 01.14.14.005.092, 01.14.14.005.136, 01.14.14.005.138) მრავალფუნქციური კომპლექსის (საოფისე-საცხოვრებელი, რეკრეაციული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – ზ. ნემსაძე).

ქ. თბილისში, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ

30. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ყუშიტაშვილის ქ. №15-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.11.01.003.007) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ლ. მიხაილიდი).

31. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გიორგი ბრწყინვალეს №25-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (მისი შესყიდვის მიზნით) (საკადასტრო კოდი: №01.10.06.014.026-ის მიმდებარედ) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – პ. გიორგაძე, ნ. გიორგაძე).

32. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დილომი, გ. ბრწყინვალესა და პ/ იბერის გადაკვეთაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.10.06.014.060) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – ტ. სამუშია).

33. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.019) სამეურნეო ობიექტის (ორი საავჭრო ობიექტის და ფარდულის) განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეულები – გ. კახიაშვილი, მ. კაპანაძე).

34. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დილომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.72.14.039.564) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – კ. ხმელიძე, ლ. აბდალაძე).

35. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის

უარი ეთქვას ქ. თბილისში, გაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალესა და პ/ იბერის გადაკვეთაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.10.06.014.060) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

33. გ. კახიაშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.019) სამეურნეო ობიექტის (ორი სავაჭრო ობიექტის და ფარდულის) განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – თ. ხონელიძე. **AR 1108075**
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 1, სარეკრეაციო ზონა 2, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2.
მოთხოვნილი ზონის სახეობა – საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2, სარეკრეაციო ზონა 2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია. გაიცეს სპეც. ნებართვა რზ 2-ში ფარდულის განთავსებაზე.
- მისაღებია. რზ 2-ის არეალში გაიცეს სპეც. ნებართვა.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.019) სამეურნეო ობიექტის (ორი სავაჭრო ობიექტის და ფარდულის) განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

2. გაეწიოს რეკომენდაცია ქ. თბილისის მერს წარუდგინოს ქ. თბილისის საკრებულოს განსახილველად საკითხი ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.019) ფუნქციური ზონის სახეობა სარეკრეაციო ზონა 1, სარეკრეაციო ზონა 2, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2, სარეკრეაციო ზონა 2-ით შეცვლის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგ: 1.

34. კ. ხმელიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, გაკე-საბურთალოს რაიონში, ხოფცელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.72.14.039.564) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

61. ქ. თბილისის მერის 2010 წლის 12 აპრილის №1247 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ. კერძოდ; განაშენიანების კოეფიციენტის „კ1=0,6-ის ნაცვლად, დაფიქსირდეს: კ1=0,8".

განმცხადებელი – მ. მესხი. AR 1104010

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მერის 2010 წლის 12 აპრილის №1247 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე. კერძოდ; განაშენიანების კოეფიციენტის „კ1=0,6-ის ნაცლად, დაფიქსირდეს: კ1=0,8".

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე დიმიტრ ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 272

„ 22 " თებერვალი 2013 წ.

ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.019), სამეურნეო ობიექტის (ორი სავაჭრო ობიექტის და ფარდულის) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 13 თებერვლის სხდომის №6 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის №63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.019), სამეურნეო ობიექტის (ორი სავაჭრო ობიექტის და ფარდულის) განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160. ჯ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200


N
ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი
სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
65.81
სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
22
36.4
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
საშრეწველო ზონა 1 (ს-1)
1:565